განკარგულება:**g-49. 492302712**
თარიღი:**27/01/2023**

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №18

„ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)”-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის განხილვისა და მოწონების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 იანვრის N48-48230151 წერილი, რომელშიც მერი საკრებულოსგან ითხოვს „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)”-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტის - „ფარცხანაყანევის, საყულიის და ოფშკვითის სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო ნაკვეთებთან მისასვლელი გზის მოწყობა“- განხილვასა და მოწონებას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მოწონებულ იქნეს „ევროკავშირი ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარებისთვის (EU4ITD) - ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორი (CESL)”-ის პროექტის საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ წარსადგენი ინფრასტრუქტურული პროექტი - „ფარცხანაყანევის, საყულიის და ოფშკვითის სასოფლო-სამეურნეო სადემონსტრაციო ნაკვეთებთან მისასვლელი გზის მოწყობა“.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი